

## რეზიუმე

"ყველაზე სევდიანი ის არის, რომ მეცნიერება უფრო სწრაფად იძენს ცოდნას, ვიდრე საზოგადოება სიბრძნეს .“

-ისაკ აზიმოვი

ღრმა სწავლება არის მანქანური სწავლების მეთოდი, რომელიც ასწავლის კომპიუტერებს ადამიანებისთვის ბუნებრივ ქმედებებს. სიღრმისეული შესწავლა არის წამყვანი ტექნოლოგია, რომელიც უკავშირდება მანქანებს მძღოლის გარეშე, საშუალებას აძლევს მათ გაარჩიონ გაჩერების ნიშანი, ფეხით სავალი გზა და ა.შ. ღრმა სწავლება არის ხმის კონტროლის გასაღები ისეთ მოწყობილობებში როგორცაა ტელეფონები, ტაბლეტები, ტელევიზორები და ა.შ. სიღრმისეულ კვლევას დიდ ყურადღება ეთმობა ბოლო პერიოდში. მისი დახმარებით ისეთი შედეგის მიღწევაა შესაძლებელი, რაც ადრე არ იყო.

ღრმა სწავლებაში კომპიუტერული მოდელი სწავლობს შეასრულოს კლასიფიკაციის ამოცანები უშუალოდ გამოსახულებების, ტექსტისა და ხმისგან.მოდელები იწვრთნებიან დიდი რაოდენობის ეტიკეტირებული მონაცემებისა და ნეირონული ქსელის არქიტექტურის გამოყენებით, რომელიც შეიცავს ბევრ ფენებს.